საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ანდის ყოისუ

ანდის ყოისუ, მდინარე საქართველოსა (ახმეტის მუნიციპალიტეტი) და დაღესტანში, კავკასიონის მთავარი ქედის ჩრდ. კალთაზე. მდ. სულაკის მარცხ. მდგენელი.

წარმოიქმნება მდ-ების თუშეთის ალაზნისა და პირიქითის ალაზნის შეერთებით. სიგრძე (თუშეთის ალაზნის სათავიდან) 203 კმ. აუზის ფართ. 4820 კმ^2. მიედინება ვიწრო და ღრმა ხეობაში. აჩენს ჭორომებსა და ჩანჩქერებს. ერთვის მრავალი მთის მდინარე. საზრდოობს თოვლის, წვიმისა და მიწისქვეშა წყლებით, ზემო დინებაში – მყინვარებითაც. წყალდიდობა იცის გაზაფხულზე და ზაფხულში, წყალმცირობა- ზამთარში.

ი. აფხაზავა